# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 16

9 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია.

აგრეთვე ესწრებოდნენ: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი დავით კირკიტაძე და "დემოკრატიული სიმართლის პარტიის" წარმომადგენელი ნინო ტყეშელაშვილი. სხდომაზე მოწვეული იყო რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორი ლევან გორგილაძე

სხდომას არ ესწრებოდა მამუკა წულუკიძე.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორი ლევან გორგილაძე, რომელიც მოწვეული იყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით-ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ.

კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ითხოვა დღის წესრიგში პირველი საკითხის ნაცვლად-განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ გასულიყო მეოთხე საკითხად და მეოთხე საკითხი-ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ, განხილულიყო პირველ საკითხად.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ;

2. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ახალგაზრდული კავშირი "ინიციატივა" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

3. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის “IRI” –ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

4. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტი" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

5. წინასწარი რეგისტრაციის ვადის გადაწევის თაობაზე;

6. სხვადასხვა.

1. ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ;

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის- ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორს ლევან გორგილაძეს. კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ სთხოვა ძირფესვიანად განემარტა ყველა ის პროცედურა- ნარკოლოგიური შემოწმება, რომელიც უნდა გაიარონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩეულმა წევრებმა. ნარკოლოგიური გამოკვლევის სამი დონე არსებობს, აღნიშნა რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორმა ლევან გორგილაძემ. პირველი საფეხური ეს არის კონსულტაცია ექიმთან, მეორე საფეხური, როცა შემოწმება ექვემდებარება კომისიურ დასკვნას და მესამე საფეხური, როცა პირის ნარკომანობის დასადგენად ხდება ლაბორატორიული გამოკვლევა. მესამე პროცედურაა, რასაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

არჩევნების შესახებ" 62-ე მუხლის პირველი პუნქტი. ამასთან, აღნიშნა მან, სამივე პროცედურის ღირებულება სხვადასხვაა, ლაბორატორიული გამოკვლევა ჯდება 23 ლარი და 56 თეთრი, რომელიც ეფუძნება გამოკვლევის თანამედროვე ამერიკულ მეთოდს.

აზრი გამოთქვეს: სიტყვით გამოვიდა გიზო მჭედლიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეყოლება 30 დეპუტატი. შესაძლებელია თუ არა, რომ ლაბორატორიული გამოკვლევა დეპუტატებმა გაიარონ უმაღლესი საბჭოს შენობაში? საქმე იმაში გახლავთ, რომ რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის ახალი დებულების თანახმად, ნარკოლოგიური შემოწმება აკრძალულია შენობის ფარგლებს გარეთ, მე სხვა პრობლემა არა მაქვს - აღნიშნა ლევან გორგილაძემ. კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი თანახმა გახდა, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩეულმა დეპუტატებმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიარონ რესპუბლიკურ ნარკოლოგიურ ცენტრში.

დაადგინეს: დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს შესაბამისი განკარგულების პროექტი. ირაკლი ფაღავამ დიდი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორს ლ. გორგილაძეს მობრძანებისათვის. ლ. გორგილაძემ სხდომა დატოვა. ამ დროს სხდომას შემოუერთდა კომისიის წევრი მამუკა წულუკიძე.

2. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ახალგაზრდული კავშირი "ინიციატივა" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ახალგაზრდული კავშირი "ინიციატივა"-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თუ ეს ორგანიზაცია აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აქვს სურვილი დაესწროს არჩევნების ჩატარების პროცესს, ჩვენ მივესალმებით, ვინაიდან ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობას.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

3. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის “IRI” რეგისტრაციაში გატარების შესახებ

| | |
|---|---|
| მოისმინეს: | კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის “IRI” რეგისტრაციაში გატარების შესახებ და აღინიშნა, რომ ესეც არის ანალოგიური პროექტი განკარგულებისა, რომელიც დამტკიცდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხად. |
| უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ | კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ |
| კენჭისყრის შედეგი: | მომხრე -9<br>წინააღმდეგი 0<br>(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი) |

4. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტი" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

| | |
|---|---|
| მოისმინეს: | უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტი" რეგისტრაციაში გატარების შესახებ |
| აზრი გამოთქვეს: | კომისიის წევრებმა გიზო მჭედლიძემ, სიმონ ჩხაიძემ, ქეთევან ჯიქიამ. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ პროექტი მისაღებია ყველასათვის. |
| უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ | კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ |
| კენჭისყრის შედეგი: | მომხრე -9<br>წინააღმდეგი 0<br>(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი) |
| მოისმინეს: | საორგანიზაციო სამსახურის უფროსის ვალერი გიორგაძის ინფორმაცია ამომრჩევლის მხრიდან წინასწარი რეგისტრაციის გავლის თაობაზე. ვ. გიორგაძემ დასძინა, რომ წინასწარი რეგისტრაცია გაიარა დაახლოებით 12%-მა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს იმის თაობაზე, რომ წინასწარი რეგისტრაციის თარიღი 13 |

ივნისი ცოტათი გადაეწიათ. სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუხსნა, რომ ვადების გადაწევა არაფრით არ შეიძლება, რადგან როგორც ადრე ჩატარებულ სხდომაზე მოგახსენეთ, სიები უნდა გაიგზავნოს თბილისში და იქ ამოიბეჭდოს, შემდეგ დაბრუნდეს, რათა გამოიკრას უბნებში და ჩვენ ფიზიკურად ვეღარ მოვასწრებთ 13 რიცხვის შემდეგ გაგზავნილი სიის ამობეჭდვას, უკან დაბრუნებას და გამოკვრას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა მამუკა წულუკიძემ, ლევან ჩავლეიშვილმა, ქეთევან ჯიქიამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დაელოდებიან 10 ივნისის ინფორმაციას წინასწარი რეგისტრაციის თაობაზე და შემდეგ გადაწყვეტენ წინასწარი რეგისტრაციის საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

| | |
|---|---|
| კომისიის  თავმჯდომარე | ი. ფაღავა |
| კომისიის მდივანი | გ. მჭედლიძე |